ხელშეკრულება №80

ქ. თბილისი **20 თებერვალი 2012 წელი**

ერთის მხრივ, **შ.პ.ს. „გლობალ კონტაქტ კონსალტინგი"** (შემდგომში „ტელეკომპანიად" და/ან „შემსრულებლად" წოდებული), მისი გენერალური დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის დავით კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ, **საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი** (შემდგომში – „შემსყიდველი" და/ან „დამკვეთი"), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის დავით ჭაკუას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, რომლითაც გათვალისწინებულია შემდეგი:

ტერმინთა განმარტებები:

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობა:

„ტელეკომპანია" – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გლობალ კონტაქტ კონსალტინგი", რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, როგორც შემსრულებელი, „აბონენტს" აწვდის სატელევიზიო სიგნალს.

„აბონენტი" – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, როგორც დამკვეთი, უფლებამოსილია მიიღოს „სატელევიზიო მომსახურეობა".

„სატელევიზიო მომსახურება" – „აბონენტისათვის" „ტელეკომპანიის" მიერ სატელევიზიო სიგნალის მიწოდება ქსელის დაფარვის ზონაში.

„საბონენტო გადასახადი" – კალენდარული თვის განმავლობაში „ტელეკომპანიის" მიერ „აბონენტისათვის" წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გასაწევი მომსახურების საფასური. ცალკეული სახეობების (პაკეტების) საფასურის განაკვეთები განისაზღვრება „ტელეკომპანიის" პრეისკურანტებით.

„მოწყობილობა" – საჭიროების შემთხვევაში რესივერი, თავაკი, მიმღები ანტენა და სხვა, რომლიც რეკომენდირებულია ტელეკომპანიის მიერ და საჭიროა ტელეკომპანიის მომსახურეობის მისაღებად.

„რესივერი" – ციფრული მოწყობილობა, რომელიც აკავშირებს სიგნალის მიმღებ ანტენას მომხმარებლის ტელევიზორთან და ახდენს სატელევიზიო არხების გადაცემას.

„დეკოდერი" – სისტემასთან მიერთების ელექტრონული ბარათი (ციფრული ტელევიზიის ინდივიდუალური მიღების ტექნიკური ელემენტი), რომელიც აძლევს შესაძლებლობას მის მფლობელს აქტივაციის შემდეგ მიუერთდეს სისტემას და მიიღოს ციფრული ტელევიზიის პაკეტი, იმ პერიოდის განმავლობაში, რომლის ღირებულების საფასურიც მას გადახდილი აქვს.

„ხელშეკრულება" – ხელშეკრულების დადებისა და „მოწყობილობის" „აბონენტისათვის" დროებით სარგებლობაში გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ამასთან ასახავს „აბონენტის" შესახებ მონაცემებს, „აბონენტისთვის" მინიჭებული საანგარიშსწორებო კოდს და სატელევიზიო მომსახურეობის სახეობას.

„სისტემასთან მიერთება – გააბონენტება"– აბონენტის სისტემასთან ურთიერთობის ტექნიკური საშუალება, რომელიც ახდენს აბონენტის ავტორიზაციას და აძლევს მას „ტელევიზიის მომსახურების" მიღების შესაძლებლობას.

„ციფრული პაკეტი"–ციფრული სიგნალი, რომელიც წარმოადგენს დია და დახურული ტელე-რადიო პროგრამების ერთობლიობას, რომელთანაც აბონენტის დაშვება ხდება აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე.

„მომსახურეობა"– ტელევიზიის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სისტემასთან მიერთების ორგანიზებასთან-გააბონენტებასთან და უზრუნველყოფს ციფრული პაკეტის ინდივიდუალური მიღების შესაძლებლობას.

1. ხელშეკრულების საბანი

1.1. „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" გაუწევს სატელევიზიო სიგნალის მიწოდების მომსახურებას ქსელის დაფარვის ზონაში, შემსყიდველისთვის დროებით სარგებლობაში გადასცემული 2 (ორი) „რესივერის" მეშვეობით იმ წესითა და პირობით, რომლებიც განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

1.2. სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება 232,75 ლარით, ხოლო ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი – №20590 „რესივერზე" - 36 ლარით, №20592 „რესივერზე" - 31 ლარით.

1.3. მომხმარებელი გააბონენტებისთვის – სისტემასთან მიერთებისთვის იხდის თანხას, რაც აისახება მიღება-ჩაბარების აქტში.

1.4. მომხმარებელი იღებს ვალდებულებას დროულად და სრულად მოახდინოს გაწეული მომსახურების საფასურის გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში დამკვეთს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება საურავი გადასახდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით.

1.5. ამ ხელშეკრულებით დადგენილი ნებისმიერი ჯარიმა და პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება დამკვეთს წარმოეშობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სანქციის უფლების გამოყენების შესახებ კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენელი წერილობით შეატყობინებს მას.

1.6. სატელევიზიო სიგნალი დამკვეთს მიეწოდება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გლდანის №8 დაწესებულებაში (ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, მე-2 კმ).

2. მომსახურეობის გაწევის წესი

2.1. მხარეები თანხმდებიან რომ სატელევიზიო სიგნალის განხორციელებისათვის შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის გადაცემული „რესივერი" წარმოადგენს შემსრულებლის საკუთრებას.

2.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა პრეტენზია დაკავშირებული წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობასთან შემსრულებლისთვის წარდგენილი იქნება წერილობით, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსრულებელი იტოვებს უფლებას მის მიერ მიწოდებული მომსახურეობა განიხლოს უნაკლოდ.

2.3. მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ორმხრივად ხელმოწერიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების ფასი

3.1. ხელშეკრულების ფასი შეიცავს ყველა ხარჯს, რომელიც წარმოდგენილია კალკულაციის ან/და მიღება-ჩაბარების აქტით.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს **925,85 (ცხრაასოცდახუთი ლარი და 85 თეთრი)** ლარს.

3.3. ხელშეკრულების ფასი შესაძლოა გადაისინჯოს, საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების, დამატებების მიღების შემთხვევაში, ასევე ქვეყანაში ინფლაციის არსებობის ან მოწყობილობის ფასების ზრდის შემთხვევაში.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

4.1 *<u>„დამკვეთი" კისრულობს ვალდებულებას:</u>*

4.1.1. დაიცვას ყველა ის პირობა, რომელიც გაწერილია ამ ხელშეკრულებით.

4.1.2. დაიცვას მიმღები მოწყობილობის ექსპლუატაციის პირობები. უნებართვოდ თვითნებურად არ გადაადგილოს მიმღები ანტენა.

4.1.3. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დაუბრუნოს „რესივერი" „ტელეკომპანიას".

4.1.4. არ დაუშვას „სატელევიზიო პაკეტი"-ს „ტელეკომპანიის" თანხმობის გარეშე მესამე პირისათვის მიწოდება. აგრეთვე არ დაუშვას „სატელევიზიო პაკეტი" -ს ხელახლა რეტრანსლაცია, ჩაწერა, გადაწერა, საჯარო ჩვენება, დუბლიკატის ან ასლის გადაღება მათი კომერციული მიზნებისათვის გამოსაყენებლად. ამ

პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში „დამკვეთი", დარღვევის სრულად გამოსწორებამდე „შემსრულებელს" ყოველთვიურად გადაუხდის 5000 (ხუთიათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში.

4.1.5. არ გაასხვისოს, არ გააჩუქოს, არ გააქირავოს, არ დააგირავოს და უფლებრივად სხვაგვარად არ დატვირთოს მიმღები მოწყლობილობა.

4.1.6. დამკვეთი ვალდებულია აანაზღაუროს მოწყობილობის დაზიანებით გამოწვეული დამატებითი სამუშაოების ჩატარების ხარჯები.

4.2. *„ტელეკომპანიას" უფლება აქვს:*

4.2.1. შეუჩეროს მომსახურეობა დამკვეთს გაფრთხილების გარეშე მომსახურეობის საფასურის გადაუხდელობის და/ან ხელშეკრულების პირობების დარღვევის ან არაჯეროვნად შესრულების გამო.

4.2.2. დამოუკიდებლად განსაზღვროს ამა თუ იმ მოქმედების განხორციელების აუცილებლობა რეტრანსლაციის პერიოდში, რის შესახებაც აცნობებს „შემსყიდველს".

4.2.3. შეწყვიტოს ცალკეული სატელევიზიო პროგრამის ან მთელი არხის რეტრანსლაცია თუ შეიზღუდება ამ არხის (პროგრამების) მაუწყებლობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ცალკეულ ნაწილში.

4.2.4. შეწყვიტოს არხის რეტრანსლაცია თუ, კომპანიას უფლებების მფლობელი კომპანიისაგან ადარ ექნება გადაცემების რეტრანსლაციის უფლება, ან/და სხვაგვარად შეწყდება კომპანიასა და უფლების მფლობელ კომპანიას შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა. ასეთ შემთხვევაში „კომპანია" შეწყვეტილ არხს ჩაანაცვლებს იგივე თემატიკის სხვა არხით.

4.2.5. „კომპანიას" უფლება აქვს სატელევიზიო ქსელში გააკეთოს ინფორმაცია სატელევიზიო პაკეტში შემავალი ტელეარხების ცვლილების შესახებ. აღნიშნული წესი არ ვრცელდება ტექნიკური მიზეზებით გამოწვეული დროებითი ჩანაცვლების შემთხვევაში.

4.2.6. იმ შემთხვევაში თუ დამკვეთი თავად გამოთქვამს სურვილს სატელევიზიო პაკეტში ცვლილების შეტანის თაობაზე, მხარეების მხრიდან ხელახლა გადაიხედება უკვე არსებული ტარიფები და მოყვანილ იქნება ისინი შეცვლილ გარემოებებთან შესაბამისობაში.

4.2.7. სამაუწყებლო პაკეტის ცვლილების სურვილის შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია წერილობით აცნობოს შემსრულებელს სასურველი პაკეტის დასახელება.

4.2.8. „კომპანია"-ს უფლება აქვს გათიშოს აბონენტი თუ იგი ცდილობს კომპანიის შეცდომაში შეყვანას ან არღვევს 4.1.4. პუნქტით გათვალისწინებულ პირობას.

4.2.9. უხეშობის ან არაკორექტული მოქმედების დროს კომპანია უფლებას იტოვებს გათიშოს აბონენტი.

4.2.10. მიმღები მოწყობილობის შემდგომი რეგულირების ან/და დამატებითი მომსახურების შემთხვევაში თანხის გადაუხდელობის დროს „ტელეკომპანია" იტოვებს უფლებას შეუჩეროს მაუწყებლობა „აბონენტს" შეუნარჩუნოს „სააბონენტო გადასახადი" დეპოზიტზე და დამატებითი მომსახურების საფასურის გადახდის შემდეგ განუახლოს მაუწყებლობა.

4.3. „ტელეკომპანია" კისრულობს ვალდებულებას ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში უზრუნველყოს ქსელის დაფარვის ზონაში სატელევიზიო სიგნალის მიწოდება.

5. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

5.1 „დამკვეთი" ვალდებულია აწარმოოს ანგარიშსწორება „კომპანიასთან" წინამდებარე ხელშეკულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

5.2 „შემსყიდველს" ვალდებულია გადაიხადოს სააბონენტო გადასახადი ყოველთვიურად. თვის ბოლოს წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტური და მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის საფუძველზე.

6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის, თუკი ეს გამოწვეული იყო დაუძლეველ ძალთა გარემოებათა გამო;

6.2 დაუძლეველი ძალა ნიშნავს ისეთ გარემოებას, რომელიც წარმოიშვა მხარეთა ნების გარეშე და რომლის დადგომის და მოქმედების კონტროლი აღემატება მხარეთა გონივრულ შესაძლებლობებს, კერძოდ მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) სტიქიურ უბედურებებს, ომსა და საომარ მოქმედებებს, სამოქალაქო არეულობებს; სამთავრობო ორგანოების მოქმედება, დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების მიღებასა და ცვლილებასთან, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივ სტატუსს და რეჟიმს;

6.3 სასამართლოების გადაწყვეტილებები (განჩინებები), ადგილობრივი და ცენტრალური მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებები, დადგენილებები, სხვა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული აქტები, ყველა იმ სახის ქმედებები, მათ შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულებების მოშლის პატივსადები მიზეზები, რომლებიც ზემოთხსენებული ქმედებების მსგავსად შეუძლებელს გახდიან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.4 თუ ნებისმიერი ზემოხსენებული გარემოება გავლენას იქონიებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება;

6.5 მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 1 თვისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს;

6.6 შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ;

6.7 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების ბედი. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისულ შეთანხმებას, დავას განიხილავს სასამართლო.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარე იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამრღვევი მხარისაგან, ხოლო ამ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით.

7.2. „შემსრულებელი" არაა პასუხისმგებელი "სატელევიზიო მომსახურების" შემადგენლობაში შემავალი სატელევიზიო არხების, ცალკეული სატელევიზიო გადაცემების, თუ აუდიოვიზუალური ნაწარმოებების შინაარსის მართლზომიერებაზე.

7.3. რომელიმე მხარის სურვილით ხელშეკრულების შეწყვეტის დროს, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული „რესივერის" დაუბრუნებლობის შემთხვევაში „შემსყიდველი" ვალდებულია გადაუხადოს „მიმწოდებელს" 200 (ორასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

7.4. „რესივერის" როგორც საკუთრივ ისე მესამე პირების მხრიდან დაკარგვის, ნებისმიერი სახის დაზიანების და მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში (განზრახ ან გაუფრთხილებლობით) „შემსყიდველს" ესკისრება ვალდებულება გადაუხადოს „მიმწოდებელს" შესაბამისად: შეკეთების ხარჯები, ხოლო თუ რესივერი არ ექვემდეებარება აღდგენას გადაუხადოს „რესივერის" ღირებულება.

7.5. იმ შემთხვევაში თუ დამკვეთს 2 (ორ) თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში გათიშული აქვს რესივერი და მოისურვებს მის ხელახალ აქტივაციას, იგი ვალდებულია გადაიხადოს ხელახალი აქტივაციის ღირებულება 10 (ათი) ლარის ოდენობით.

7.6. დამკვეთის მხრიდან რესივერის სამ თვეზე მეტი პერიოდით გათიშვის შემთხვევაში, ტელეკომპანია იტოვებს უფლებას მოსთხოვოს დამკვეთს მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული რესივერის უკან დაბრუნება, ხოლო თუ დამკვეთი არ ან ვერ აბრუნებს რესივერს გადაიხადოს რესივერის ღირებულება.

7.7. ყველა პრეტენზია ან/და შენიშვნა დაკავშირებული სატელევიზიო მომსახურეობის ხარისხთან, "აბონენტის" მიერ "ტელეკომპანიისათვის" წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობით. დაზიანების არსებობის შემთხვევაში ტექნიკოსთან დაკავშირება უნდა მოხდეს მხოლოდ შემდეგ ცხელი ხაზის ნომერზე. ტელ: 294-27-15 ან 2471212, წინააღმდეგ შემთხვევაში "ტელეკომპანია" იტოვებს უფლებას მის მიერ "აბონენტისათვის" მიწოდებული მომსახურეობა განიხილოს უნაკლოდ.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

8.2. მხარეები უფლებამოსილნი არიანი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყვიტონ ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ კონტრაჰენტს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე.

8.3. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების სპეციალისტი კახა ფიფია.

9. დავის გადაწყვეტა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9.2 თუ დავის წარმოშობის შემთხვევაში მხარეები ვერ შეთანხმდნენ, დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მეშვეობით.

10. დასკვნითი დებულებანი

10.1 მხარეები ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს ბუნდოვან დებულებებს და რომ ისინი სრულად გაეცნენ და მიიღეს აღნიშნული პირობები.

10.2 საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობით.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არ გააჩნიათ. ცვლილებებისა და დამატებების ხელმოწერის შემდეგ ისინი ითვლებიან წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.4 ხელშეკრულების ხელმოწერიდან ნებისმიერ დროს ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების ძალადაკარგულად ცნობა საკანონმდებლო ცვლილებების,

სასამართლოს გადაწყვეტილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე, არ იქონიებს გავლენას წინამდებარე ხელშეკრულების სხვა დებულებების ნამდვილობაზე. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, ასეთ შემთხვევაში კეთილსინდისიერად აწარმოონ მოლაპარაკებები რათა ხელშეკრულებაში შეტანილ იქნას ისეთი ცვლილებეი, რომლებიც შეძლებისდაგვარად შეინარჩუნებს მხარეთა თავდაპირველ მიზანს.

10.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისთვის.

11. მხარეთა რეკვიზიტები

„დამკვეთი"

სასჯელაღსრულების დეპარტამენტი; გორგასლის ქ. №83ა; ს/კ №204404723; „საქართველოს ეროვნული ბანკი"; ა/ა №200122900; ბ/კ №220101107.

_____ /დავით ჭაკუა/

"შემსრულებელი":

შ.პ.ს. „გლობალ კონტაქტ კონსალტინგი"; მისამართი: 0102 ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №89/24, მე–10 სართული; ს/კოდი: №204952275; ს/ს ბანკი "ქართუ"; ბ/კ: CRTUGE22; ა/ა GE61 CR000 0000 004093602; საკონტაქტო ტელეფონები: 294-27-27, 294-27-15; ფაქსი: 294-07-77; ელ-ფოსტა: info@globaltv.ge.

_____ /დავით კაპანაძე/